



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №72/18

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

შპს „--“-ს წარმომადგენლის -- -- -- 2018 წლის 1 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 6 დეკემბრის №72/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 5 მაისს მოსარჩელე მხარემ მიმართა სასამართლოს, მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 2016 წლის 23 მაისს. არაერთი სატელეფონო ზარის და განცხადების მიუხედავად მოსამართლემ მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნა ერთი წლის შემდეგ 2017 წლის 6 ივნისს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელემ თავდაპირველად სასარჩელო მოთხოვნად განსაზღვრა სახელფასო დავალიანების და 0.07% გადახდა, შემდგომ წარდგენილ განცხადებებში მოსარჩელემ გაზარდა მოთხოვნა და სადავოდ გამხდარი ბრძანებების და შრომის შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-9 ნაწილის ბათილად ცნობა ითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნები ადგილზე თათბირით მიიღო ისე, რომ არ გადაუგზავნა და არც შესაგებლის წარდგენის ვალდებულება და ვადა განუსაზღვრავს. სასამართლოს მიერ დაშვებულმა ამ საპროცესო შეცდომამ განაპირობა მათი პოზიციის დაფიქსირება ზეპირად, რომელიც ასახეს

წერილობით წარდგენილ საპაექრო სიტყვაში, საპაექრო სიტყვაში აღნიშნული ხანდაზმულობის აქტი სააპელაციო სასამართლომ დაგვიანებულად მიიჩნია. საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს 2017 წლის 20 ივლისს ჩატარებული სხდომის დინამიკაზე და აღნიშნავს, რომ სხდომა 10 საათის ნაცვლად დაიწყო 10:44 წუთზე, რამაც გამოიწვია შესვენების ორჯერ გამოცხადება სხვა სასამართლო საქმეების განხილვის გამო.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 5 მაისს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - შპს „--“-ს მიმართ, სახელფასო დავალიანების გადახდევინების თაობაზე.

2016 წლის 13 მაისს მოსარჩელემ წარადგინა მოპასუხისთვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები.

2016 წლის 16 მაისს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2016 წლის 7 ივნისს და 2016 წლის 9 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს მიმართა განცხადებით და დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა.

2016 წლის 11 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.

2016 წლის 19 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

2017 წლის 26 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა საქმის გაჭიანურების გამო საქმის განსახილველად გადაცემა სხვა მოსამართლისათვის.

2017 წლის 5 მაისის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 6 ივნისს.

სასამართლო სხდომები გაიმართა 6.06.2017; 21.06.2017; 12.07.2017; 20.07.2017; 17.08.2017 წწ. პერიოდებში.

2017 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი შპს „--“-ის მიმართ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 29 სექტემბერს შპს „--“-მა სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა 2017 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით შპს „--“-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება.

2018 წლის 18 იანვარს „--“-მა საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

2018 წლის 29 აგვისტოს განჩინებით შპს "--"-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს. ხოლო ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში

მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი საქმის მასალებიდან შესაბამისი სხდომის ოქმის ელექტრონული დისკი ხარვეზიანია, ხოლო საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან გამოთხოვილი სხდომის ოქმის ვიდეოჩანაწერის მოწოდება შეუძლებელია, არქივის მოცულობიდან გამომდინარე (№152-ი წერილი). შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს და შეაფასოს საჩივრის ავტორის განცხადება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებლის წარდგენის შეუძლებლობისა და ამ ნაწილში მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

3.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებაში შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlander v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს -- საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3¹ პუნქტის

თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2016 წლის 5 მაისს ხოლო მოპასუხისათვის სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების დასტური 2016 წლის 13 მაისს, საქმის განხილვა დასრულდა 2017 წლის 17 აგვისტოს. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ვადა შეადგენს 1 წელსა და 3 თვეს.

მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის გაჭიანურებას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებაში. უმნიშვნელოვანესია შეფასება მიეცეს მოსამართლის მიერ საქმესთან მიმართებაში ჩატარებულ საპროცესო მოქმედებებს. საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ მოსამართლე -- ალნიშნულ საქმეზე ჩაატარა 5 სასამართლო სხდომა. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ პერიოდებს, როდესაც მოსამართლე საავადმყოფო ფურცელზე გასვლის გამო ვერ ასრულებდა სამსახურეობრივ უფლებამოსილებას, კერძოდ 21.11.2016-27.11.2016წ; 01.01.2017-27.01.2017 წ; 01.03.2017-27.03.2017 წ; 02.05.2017-05.05.2017 წ; 22.05.2017-29.05.2017 წ; 12.06.2017-16.06.2017 წ; 03.07.2017-05.07.2017წ; ასევე, გასათვალისწინებელია მოსამართლის შვებულებაში ყოფნის პერიოდი 31.07.2017-4.08.2017 წ. (საერთო ჯამში 2 თვე და 25 დღე). ასევე გასათვალისწინებელია მოსამართლის დატვირთულობა, მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- განსახილველად ეწერა 652 -- საქმე, ხოლო ამათგან დაასრულა 530 -- საქმე (81%).

არსებული სტატისტიკის, დატვირთულობის, მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე და შვებულებაში ყოფნის პერიოდის, ასევე მის მიერ ჩატარებული საპროცესო მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლე -- მხრიდან ადგილი არ ჰქონია საქმის განხილვის „უსაფუძვლო“ ბრალეული გაჭიანურების ფაქტს.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის განცხადებას 2017 წლის 20 ივლისს ჩატარებული სხდომის დინამიკაზე, რომ სხდომა 10 საათის ნაცვლად დაიწყო 10:44 წუთზე, რამაც გამოიწვია შესვენების ორჯერ გამოცხადება სხვა სასამართლო საქმეების განხილვის გამო, უნდა აღინიშნოს, რომ სხდომის დაწყების 44 წუთით დაგვიანებას არსებითი ზიანი მხარეთა ინტერესებისთვის არ მიუყენები, რაც ბუნებრივია არ წარმოადგენს მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდენის ჩადენის ფაქტს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №72/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი